

ქართული და მეგრული ფრაზის X' სქემა და პროექცია

თამარ გოგია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ენათმეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლობჯანიძე ირინა, პროფესორი
გერსამია რუსუდან, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ გოგია

08.02.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი არის მცდელობა, ენობრივი სტრუქტურის ფორმალიზებული საყოველთაო თეორია, უფრო კონკრეტულად კი, დეტერმინანტული ფრაზის X' სქემა, მოარგოს ქართული და მეგრული ენის მასალას. ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზის საფუძველია X' თეორია. ჩვენი მიზანია, X' თეორიის პრინციპები და ტრადიციულ გრამატიკაში დამუშავებულ შესაბამისი საკითხები შევაჯეროთ, ამის საშუალებით კი გამოვარკვიოთ, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ქართულსა და მეგრულში დეტერმინანტად - რას უნდა მიენიჭოს დეტერმინანტის სინტაქსური სტატუსი; დავადგინოთ დეტერმინანტული ფრაზის შემადგენელთა სინტაქსური ფუნქციები, პოზიციები და პროექციათა დონეები; გამოვარკვიოთ, X' სქემის დეტერმინანტული ფრაზის ფორმალური წესები ესადაგება თუ არა ქართულისა და მეგრულის ენობრივ მასალას. ქართული ტრადიციული გრამატიკის აღწერით წესთა და წარმომშობი გრამატიკის ფორმალურ წესთა შეჯერების საშუალებით: (ა) დავადგინეთ, რომ ქართულსა და მეგრულში დეტერმინანტის სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ ე.წ. ზედსართავთან ფუნქციურად გათანაბრებული მეტყველების ნაწილები. (ბ) X' სქემა მოვარგეთ ქარულ და მეგრულ დეტერმინანტულ ფრაზებს; ავაგეთ დეტერმინანტული ფრაზის სინტაქსური ხეები. (გ) დავადგინეთ დეტერმინანტული ფრაზის პროექციები; შემადგენელთა სინტაქსური მახასიათებლები და პოზიციები; შემადგენელთა სტრუქტურული და იერარქიული კავშირები. (დ) გამოვარკვიეთ, რომ X' თეორიის დეტერმინანტული ფრაზის წესი ერგება ქართულისა და მეგრულის მასალას. აღნიშნული დასკვნები გამყარებულია ქართული ენის მასალის კორპუსული მონაცემებისა და ნათარგმნი მეგრული წინადადებების გაანალიზების საშუალებით.

საკვანძო სიტყვები: წარმომშობი გრამატიკა, საყოველთაო გრამატიკა, X' თეორია, პროექცია, დეტერმინანტული ფრაზა, ფრაზის წყობის წესები, ქართული ენა, მეგრული ენა.

Abstract

This paper seeks to adapt the theory and procedures of the formal universal grammar to the Georgian and Mingrelian languages. The theoretical and methodological basis of the paper is the principles and parameters approach, more specifically, the X' theory. The paper aims to adapt the formal rules and projection principles of X' schema to the languages under analysis. The objective of the paper is to: (1) identify determiners in Georgian and Mingrelian; (2) define intermediate constituents of the determiner phrase and three levels of projections of the determiner phrase. Our research questions are: Does X' schema of the determiner phrase adapt to the languages under analysis? Which grammatical units have the syntactic function of the determiners in Georgian and Megrelian? What are the syntactic positions and hierarchical relations of the nouns, adjectives, and determiners on the syntactic trees? Our assumptions have been confirmed by analyzing examples from the CNC and GLC corpus and by the Mingrelian examples which were translated from Georgian. We assumed that the deictics, possessive pronouns, some subcategories of numerals, and quantity nouns have the syntactic function of determiners in Georgian and Mingrelian languages. The analysis has shown that these grammatical units are nouns in the sentence if there is no another noun in the phrase, which they modify.

Keywords: Generative Grammar, Universal Grammar, X' Theory, Projection, Determiner Phrase, Georgian Language, Mengreliam Language.